განკარგულება:**g-81. 81240592**
თარიღი:**28/02/2024**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №3

ცაგერის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მოსწავლეების მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტების და 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მოსწავლეების მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესი დანართის შესაბამისად. /თან ერთვის/

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრებებში, საქართველოს ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ, ზონალურ და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის დროს კვების დღიური ნორმის განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 02 მარტის №25 განკარგულება.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი